# ხელშეკრულება № 104

(მომსახურების გაწევის შესახებ)

ქ. თბილისი 11 აპრილი 2011წ.

სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი ( მისამართი: ქ.თბილისი, პეკინის ქუჩა №4, ტელ: 36-72-10, ს/კ-212273868, საბანკო რეკვიზიტები: ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, ა/ა №10665375049, ბანკის კოდი 220101757), შემდგომში წოდებული **„მიმწოდებელი"** წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის **ზაზა ჭელიძის** სახით,

**შპს "საქართველოს ფოსტა"** (მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2 ტელ:25-63-56 ს/კ-203836233, საბანკო **რეკვიზიტები:** ს/ს "საქართველოს ბანკი" ა/ა №123286800, ბანკის კოდი BAGAGE22), შემდგომში წოდებული **„შემსყიდველი"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **გოჩა ხუჭუას** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება მომსახურების შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მოცემული დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნება.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია **სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატის** მიერ **შპს "საქართველოს ფოსტისთვის "** შემდეგი ინფორმაციის მიწოდება ელექტრონული ფორმით:

2.1 ინფორმაცია თბილისში განთავსებული იურიდიული პირების შესახებ დასახელება, იურიდიული მისამართის, ტელეფონის და სტატუსის მითითებით, 2011 წლის 11 აპრილის მდგომარეობით.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 459.53 (ოთხასორმოცდაცხრამეტი ლარი და ორმოცდაცამეტი თეთრი) ლარს** მომსახურების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მისი მთლიანი ფასის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შპს "საქართველოს ფოსტისთვის" ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;
გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს "მიმწოდებლის " მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების მე- 8 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში.
ბ) უზრუნველყოს განხორციელებული მომსახურების შემოწმება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 5. მომსახურების ხარისხი

განხორციელებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში დადგენილ სტანდარტებს.

## 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.2 მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველისათვის მისაწოდებელი ინფორმაციის ხარისხზე და სიზუსტეზე პასუხისმგებელია ბიზნესსტატისტიკის სამმართველო (ვიგიტა თოდრაძე)

## 7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით, მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
7.2 მიღება-ჩაბარებას აწარმოებს **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატის ადმინისტრაციული სამმართველოს სამეურნეო და შესყიდვების განყოფილების უფროსი დავით მოწონიძე.**
7.3 "შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმომწერი პირია შპს **"საქართველოს ფოსტის" შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი თემურ ჩახიბაია**

## 8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიღებული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში.
8.3 თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

## 10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

10.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ შეუსრულებელ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

10.3 ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

## 15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო ხანგრძლივობის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

## 17. მხარეთა რეკვიზიტები:

**მიმწოდებელი**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი, წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის

ზაზა ჩელიძის სახით,

მისამართი: ქ.თბილისი, პეკინის ქუჩა №4, ტელ: 36-72-10 ს/კ-212273868

საბანკო რეკვიზიტები: ბანკი "რესპუბლიკას" ცენტრალური ფილიალი, IBAN ანგ. GE12 BR00 0001 0565 3750 49, ბანკის კოდი BIC REPLGE22

**შემსყიდველი**

სს "საქართველოს ფოსტა" -წარმომადგენელი ფინანსური დირექტორის

გოჩა ხუჭუას სახით,

მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2 ს/კ-2203836233
საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი BAGAGE22 ანგ ნომ: 123286800